



აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-59

გორი

21 11 2018წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა დანართის შესაბამისად;
2. კანცელარიის უფროსმა უზრუნველყოს ამ დადგენილების განთავსება ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას.
3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის #30).

რექტორი

გიორგი სოსიაშვილი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული
ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას, რომლის მიზანია უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა.
2. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებია:
 - ა) კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრირება;
 - ბ) ინფორმაციული უზრუნველყოფა;
 - გ) მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება;
 - დ) ინფორმაციის უსაფრთხოება.
3. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები ეფუძნება ინფორმაციის კონფიდენციალურობის, ხელმისაწვდომობისა და მთლიანობის დაცვის პრინციპებს და უზრუნველყოფს ინფორმაციული სისტემის ფუნქციონირებაში რისკების მართვის ეფექტურობასა და ბიზნესუწყვეტობას.
4. უნივერსიტეტში ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვას უზრუნველყოფს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება.
5. უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება უზრუნველყოფს:
 - ა) კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ადმინისტრირების კუთხით:
 - უნივერსიტეტში კომპიუტერული ქსელური სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებას, საუნივერსიტეტო პროცესების ავტომატიზაციასა და მათ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ მხარდაჭერას;

- კომპიუტერული ქსელური სისტემის მომხმარებლების მიერ დაფიქსირებულ ინციდენტებზე დროულ რეაგირებას, აგრეთვე არსებული ტექნიკური ხარვეზების გამოვლენასა და მათ აღმოფხვრას;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით წინადადებების მომზადებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციისათვის წარდგენას;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის წარმადობის პერიოდულ კონტროლს;
- ინფორმაციული ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სარეზერვო სისტემის შექმნას და მონიტორინგს;
- ელექტრონული საქმისწარმოების სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

ბ) ინფორმაციული უზრუნველყოფის მიმართულებით:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის დროულ განთავსებას შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრული რეგლამენტისა და ფორმატის დაცვით;
- ინფორმაციის განთავსებისას მასალის ესთეტიკური კონტექსტის გათვალისწინებას და მაღალხარისხიანი დიზაინით უზრუნველყოფას;
- ვებ-გვერდზე საძიებო სისტემის ოპტიმიზაციას - ლოგიკური სტრუქტურის შენარჩუნებასა და პერიოდულად განახლებას.

გ) მონაცემთა ბაზების ადმინისტრირების მიმართულებით:

- უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზებისა და საინფორმაციო რესურსების სისტემატიზაციას და ოპტიმალურობას;
- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

დ) ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით:

- ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიცირებას, შესწავლას და შესაბამის რეაგირებას;

- კომპიუტერული ვირუსების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, ანტივირუსული აპლიკაციების გამოყენებას;
- უნივერსიტეტის ინფორმაციული სისტემის პერიოდულ კონტროლს, ტექნიკური და პროგრამული უსაფრთხოების განახლებას/ოპტიმიზაციას;
- ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დაფიქსირებისა და რეაგირების ეფექტური სისტემის შექმნას და მართვას;